საიდ. N 81584/03

IR 1241399

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N60-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბსჰ ჰაუსგერეტე გმბჰ“ (BSH Hausgeräte GmbH) N60-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მარტის N725/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „hyperFresh“ (საიდ. N81584/03, IR 1241399) დაცვის მინიჭება საქართველოში განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მარტის N725/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „hyperFresh“ არ ექვემდებარება დაცვას ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „hyperFresh" ორი ნაწილისაგან შემდგარ სიტყვას წარმოადგენს, სადაც სიტყვა „hyper" არის პრეფიქსი და ქართულ ენაში შეესატყვისება: „ჰიპერ“, „ზე“, „მეტისმეტად“. ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც ჰიპერ ახალი, მეტისმეტად ახალი. სწორედ ამიტომ, შესაძლოა მომხარებელმა იგი საქონლის კატეგორიის, სახეობის ან ხარისხის მიმანიშნებელ სიტყვად აღიქვას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქციაა განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი, მეორე საწარმოს საქონლისაგან. აღწერილობით ტერმინებს კი არ აქვთ განმასხვავებლობა შესაბამისი საქონლის მიმართ, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ბსჰ ჰაუსგერეტე გმბჰ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სიტყვიერი ნიშანი „hyperFresh“ ფანტაზიური ხასიათისაა და იგი განხილულ უნდა იქნეს არა დანაწევრებული სახით, არამედ მთლიანობაში. ამასთან, მოცემული ნიშნის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი - „hyper“ - წარმოადგენს ინგლისურ სიტყვას და ქართულად ნიშნავს „ენერგიულს“ (მაგ., ენერგიული ადამიანი), „ზეაქტიურს“ (ჰიპერ- [ბერძ. huper- ზე, ზევით], რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი აღნიშნავს ზევით ყოფნას, აგრეთვე, ნორმის გადამეტებას. მაგ., ჰიპერტონია, ჰიპერტროფია (საპირისპ. ჰიპო-) წყარო: უცხო სიტყვათა ლექსიკონი). რაც შეეხება მეორე ელემენტს - „Fresh“, აპელანტის პოზიციით, მოცემული სიტყვა გარდა ზედსართავისა, ასევე წარმოადგენს არსებით სახელს და ნიშნავს „ფხიზელს“ (მაგ., ფხიზელი ადამიანი), „ადრიანს“ (მაგ., ადრიანი დილა/გაზაფხული). როგორც ზედსართავი სახელი, სიტყვა „fresh“, ჩვეულებრივ, გამოიყენება საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში. შესაბამისად, იგი აღწერილობითია ისეთი საქონლის მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, დაუმუშავებელი ხილ-ბოსტნეული. აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ საქპატენტში რეგისტრირებულია „hyper“ თავსართიანი 10 ეროვნული სასაქონლო ნიშანი, ხოლო „Fresh“ სიტყვიერი ნაწილის შემცველი 57 ეროვნული და 61 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი არ ეთანხმება საქპატენტის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „hyperFresh“ შესაბამისი საქონლის ჩამონათვალთან მიმართებაში აღწერილობითი ხასიათის და არაგანმასხვავებელუნარიანია. აპელანტის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ფანტაზიურ ნიშანს და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნის ყველა ელემენტის მთლიანობაში განხილვა. აპელანტის განმარტებით, საქონელი, რომლის მიმართაც მოითხოვება ნიშნის დაცვა, არ წარმოადგენს საკვებ პროდუქტს და შესაბამისად, მოცემული ნიშნის თითოეული ნაწილი „hyper“ ან „Fresh“ დამოუკიდებლადაც კი ვერ იქნება აღწერილობითი ან არაგანმასხვავებელუნარიანი განცხადებული საქონლისათვის. აპელანტმა სხდომაზე

ასევე, დაამატა და განმარტა, რომ ექსპერტიზის გადაწყვეტილება უფრო სწორი იქნებოდა, ნიშანი რომ ყოფილიყო ცალ-ცალკე სიტყვებად წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მარტის N725/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „hyperFresh“ (საიდ. N81584/03, IR 1241399) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N60-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „hyperFresh“ წარმოადგენს აღწერილობით და არაგანმასხვავებელუნარიან სიმბოლოს მე-7, მე-11 და 21-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის. განცხადებული ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს და შედგება მხოლოდ აღწერილობითი სიმბოლოებისაგან.

კერძოდ, ნიშანი შეიცავს ორი სტანდარტული ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს „hyper“ და „Fresh“, სადაც სიტყვის - „Fresh“, პირველი ასო „F” შესრულებულია ასომთავრულად და იძლევა მომხმარებლის მიერ ორი დამოუკიდებელი სიტყვის ცალ-ცალკე აღქმის შესაძლებლობას. განცხადებულ ნიშანში სიტყვა „hyper“ წარმოადგენს პრეფიქსს და ინგლისური ენიდან, ქართულად ნიშნავს „ზე“, „ჰიპერ“, „მეტისმეტად“. რაც შეეხება სიტყვიერ ელემენტს „Fresh“ იგი ინგლისური ენიდან ქართულად ნიშნავს „ახალს“, „უახლესს“. შესაბამისად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „hyperFresh“ ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ჰიპერ ახალი“, „ზე ახალი“, „უახლესი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშანი არ წარმოადგენს ფანტაზიურ სიმბოლოს მე-7, მე-11 და 21-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის და მიუთითებს აღნიშნული საქონლის ხარისხზე და სახეობაზე. ამასთან, ორი აღწერილობითი ხასიათის ტერმინის ან/და სიმბოლოს უბრალო გაერთიანება (კომბინაცია) ვერ სძენს ნიშანს ფანტაზიურ ხასიათს და განმასხვავებელუნარიანობას შესაბამისი საქონლის მიმართ. ნიშანმა, რომლის თითოეული ელემენტი აღწერილობითი ხასიათისაა, მხოლოდ მაშინ შეიძლება შესძინოს აღნიშვნას განმასხვავებელუნარიანობა, როცა ეს უკანასკნელი წარმოდგენს სიმბოლოების არასტანდარტულ კომბინაციას, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მომხმარებლისათვის აღიქმება განსხვავებულად. ამასთან, სიტყვიერი აღნიშვნა „Fresh” ხშირად გამოიყენება ისეთი საქონლისათვის, როგორიცაა სახლისა და სამზარეულოს ტექნიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „hyperFresh“ (საიდ. N81584/03, IR 1241399) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბსჰ ჰაუსგერეტე გმბჰ-ს“ (BSH Hausgeräte GmbH) N60-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მარტის N725/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე